



## პოლიტიკური პარტიები საქართველოში დაფინანსების საკითხები

პოლიტიკური პარტიები თანამედროვე დემოკრატიის ფუნქციონირების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზების დონე ხშირად მოცემულ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის სანდო საზომადაც მოჰყავთ. პოლიტიკური პარტიების სისტემის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისეთ ქვეყნებშია, რომლებიც დემოკრატიის ფუნქციონირების ხანმოკლე ან არაერთგვაროვანი ისტორიით ხასიათდებიან. ქართული დემოკრატია, რომელიც არსებობის ორ ათწლეულსაც არ ითვლის, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა და სუსტია.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიხედვით საქართველომ „ხელი უნდა შეუწყოს უფრო ფართო პოლიტიკურ პლურალიზმს, რაც საქართველოში პოლიტიკური პარტიების როლისა და ფუნქციონირების განმტკიცებას გულისხმობს“<sup>1</sup>. ამ ახალი ვალდებულების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს პოლიტიკური პარტიების სისტემისა და პარტიების წინაშე მდგარი სირთულეების შეფასება. ზედაპირული შეფასებებისთვის თავის არიდების მიზნით, წინამდებარე ანგარიში ზოგადად მიმოიხილავს საქართველოს პოლიტიკური პარტიების სისტემას და ძირითადად პარტიების დაფინანსების საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას.

### საქართველოს პოლიტიკური პარტიების წინაშე მდგარი სირთულეები

პოლიტიკური სპექტრი და აკადემიური სექტორიც იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიების სისტემა სუსტია. ეს სისუსტე სხვადასხვა სფეროში რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ელემენტის სახით წარმოჩინდება. საქართველოს სისტემა „სუსტი მრავალპარტიული“ ან დომინანტური პარტიული სისტემისთვის ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე მრავალი პარტია ჩანს, ძლიერად მხოლოდ ერთი მათგანი შეიძლება დახასიათდეს. პარტიის სიძლიერეს არჩევნებში მოპოვებული წარმატება განაპირობებს, რადგან გამარჯვებული პირდაპირი მნიშვნელობით ყველაფერს იღებს, და მთლიანად იკავებს სახელმწიფო აპარატს. ძალაუფლების „სრულად ხელში მოქცევა“ ანუ პარტიისა და სახელმწიფოს შერწყმა საქართველოსთვის ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან არის დამახასიათებელი და უდავოდ 70 წლიანი კომუნისტური მმართველობის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ზოგადად პოლიტიკაში და განსაკუთრებით პარტიებში ცალკეული პიროვნებების ცენტრალური ადგილას მოქცევაა. საქართველოს პოლიტიკური პარტიები მთლიანად ასოცირდება და, ზოგ შემთხვევაში, გათანაბრებულია მათ ლიდერებთან. ასე იყო ყველა მნიშვნელოვანი პარტიისა და, განსაკუთრებით, მმართველი პარტიების შემთხვევაში. ამ პარტიების ქარიზმატულმა ლიდერებმა – გამსახურდიამ, შევარდნაძემ და სააკაშვილმა შესაბამისად სამივე მმართველ პარტიაში – „მრგვალი მაგიდა“, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – ცენტრალური ადგილი დაიმკვიდრეს.

პოლიტიკური საკითხების პიროვნებებით გადაფარვამ მყარი პოლიტიკური პლატფორმების საჭიროება შეასუსტა. საზოგადოებრივი მოთხოვნა არც პარტიებსა და არც თანმიმდევრულ პოლიტიკური პროგრამებზე არსებობს. ხმის მიცემა თითქმის საერთოდ არ უკავშირდება პარტიების პროგრამებს. ამგვარად, ამომრჩევლების არჩევანი პარტიის პროგრამის დამაჯერებლობისა და შესრულებადობაზე მეტად ლიდერის დამაჯერებლობაზეა დამყარებული.

ბოლო ხანებში გამოქვეყნებული კვლევის<sup>2</sup> თანახმად, ზემოთ აღწერილმა გარემოებებმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს პოლიტიკური პარტიების ახლანდელი მდგომარეობის განსაზღვრაში.

<sup>1</sup> ნაწილი 4.1.1. დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

<sup>2</sup> ნოდია, ვია და ალვარო პინტო სკოლტაზი „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“, ებურონ ლელფტი, 2006.

წიგნის ელექტრონული ვერსია განთავსებულია:

[http://www.caucas.itdc.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=7&info\\_id=27](http://www.caucas.itdc.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=7&info_id=27)



კვლევა ხაზს უსვამს საარჩევნო ხმათა კონცენტრაციის მაღალ დონეს და ოპოზიციის დაქსაქსულობას, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური სპექტრი იდეოლოგიური თვალსაზრისით მკვეთრად არ არის დაყოფილი. თუმცა, პარტიებს ხშირად უჭირთ ერთმანეთთან თანამშრომლობა. ეს სირთულე კიდევ უფრო მწვავედება ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობებში. მმართველი პარტია, რომელიც დღემდე ყოვეთვის სარგებლობდა კომფორტული უძრავლესობით, ქვეყანას თავისუფლად მართავდა და ოპოზიციის ჩართვას ნაკლებად საჭიროებდა.

პრობლემების ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. პარტიების სისტემისთვის პრობლემატური საკითხია ასევე პარტიების წევრობა და შიდა პარტიული დემოკრატიის არარსებობა. ასევე მნიშვნელოვანი მახასიათებელია პარტიული პოლიტიკის უკიდურესი ცენტრალიზაცია: პარტიას ფაქტიურად მისი სათავე ოფისი წარმოადგენს, რეგიონებში კი უმეტესად სუსტად განვითარებული ქსელი არსებობს. ეს საკითხი პრობლემატურია არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების წარმოჩენის, არამედ პარტიების მიერ წევრების მოზიდვის შესაძლებლობის თვალსაზრისითაც.

ხსენებული პრობლემების გარდა ოპოზიციური პარტიები მათთვის უფრო პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მწვავე პრობლემებს ასახელებენ. ეს პრობლემები ეხება ყველა ოპოზიციურ პარტიას, თუმცა მათ პრობლემების წარმომავლობასა და მათი გადაწყვეტის გზებზე საკმაოდ განსხვავებული შეხედულებები აქვთ.<sup>3</sup>

ერთადერთი ყველაზე ხშირად აღნიშნული პრობლემური საკითხი საარჩევნო ბარიერია. ამჟამად პარლამენტში<sup>4</sup> ადგილების მოსაპოვებლად აუცილებელია პარტიამ არჩევნებში მიცემულ ხმათა რაოდენობის 7 პროცენტი მაინც მიიღოს. ეს ბარიერი, რომელიც 1999 წელს 4-დან 7 პროცენტამდე გაიზარდა, როგორც ოპოზიციური პარტიების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მეტისმეტად მაღალ ზღვრად მიიჩნევა. განსაკუთრებით ევროპის საბჭო გამოირჩევა აქტიურობით და საქართველოსთვის ამ მოუხლის გადახედვის და საარჩევნო ბარიერის დაწვევის რეკომენდაციით. ბარიერის შემცირების მომხრეთა არგუმენტის შემდეგია: საქართველოს საარჩევნო ბარიერი გაცილებით უფრო მაღალია,<sup>5</sup> ვიდრე სხვა ქვეყნებში, როგორც წესი, მიღებული 3-5 პროცენტიანი ბარიერი. ეს კი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ფაქტიურად ართმევს ხმის უფლებას. ამ მოქალაქეების ხმები ფაქტობრივად დაკარგულია, და შედეგად, პარლამენტში ხალხის არჩევანი სრულად არ არის წარმოდგენილი. ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებით, მაღალი საარჩევნო ბარიერი ოპოზიციური პარტიებისთვის ხელისუფლების ხელმისაწვდომობას და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას უსამართლოდ აფერხებს. მმართველი პარტიის კი საპირისპირო მოსაზრება აქვს, რომლის თანახმადაც მაღალი საარჩევნო ბარიერი პარტიული სისტემის კონსოლიდაციას უწყობს ხელს. რადგან ოპოზიციური პარტიები იმდენად მცირე და სუსტია, რომ დამოუკიდებლად ამომრჩეველთა დიდი ნაწილის მხარდაჭერის მოპოვება არ შეუძლიათ, მაღალი ბარიერი მათთვის გაერთიანების და კოალიციების (საარჩევნო ბლოკების) შექმნის ან გაერთიანების მოტივაციას ქმნის. შედეგად კი უნდა მივიღოთ უფრო ძლიერი სისტემა ნაკლები, მაგრამ უფრო ეფექტურად ფუნქციონირებადი პარტიებით. სხვა ოპოზიციურ პარტიებისაგან განსხვავებით, საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება აქვს. ლეიბორისტული პარტიის განცხადებით, საარჩევნო ბარიერის დაწვევა მისასაღებელია, თუმცა

<sup>3</sup> პარტიები უფრო მეტად ეროვნულ არჩევნებსა და პოლიტიკაზე ახდენენ კონცენტრირებას. ამ ტიპის თემები ჩრდილავენ ადგილობრივი პოლიტიკისთვის უფრო აქტუალურ საკითხებს.

<sup>4</sup> საქართველოს პარლამენტი ირჩევს შერეული სისტემის საფუძველზე. საპარლამენტო ადგილების უმრავლესობა პროპორციული არჩევნების შედეგებით განისაზღვრება, უფრო ნაკლებ რაოდენობას კი იკავებენ განსაზღვრულ საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული სისტემის არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატები. ამჟამად პარლამენტში არის პროპორციული სისტემით არჩეული 150 დეპუტატი და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 დეპუტატი. თუმცა, 2005 წელს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის 150-მდე შემცირების შესახებ. შედეგად, 100 ადგილი განკუთვნილი იქნება პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატებისთვის, მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობა კი 50 იქნება. ეს წესი 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს შევა ძალაში.

<sup>5</sup> უახლესი დოკუმენტი ამ საკითხის შესახებ რეკომენდაციებზე: ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის ერთობლივი დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 2006 წლის 24 ივლისის ცვლილებებზე. მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ, 69-ე სესიაზე, ვენეცია, 2006 წლის 15-16 დეკემბერი. დოკუმენტი განთავსებულია ვებ-გვერდზე: [http://www.venice.coe.int/doc/2006/CDL-AD\(2006\)037-e.asp](http://www.venice.coe.int/doc/2006/CDL-AD(2006)037-e.asp)



ეს საკითხი უმთავრეს პრობლემას არ წარმოადგენს. ლეიბორისტული პარტიის წევრების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლიანი არჩევნების ჩატარების გარანტიაა.

ასევე პრობლემატურ საკითხად მიიჩნევა ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) შემადგენლობა. ოპოზიციის წარმომადგენლები ეჭვის თვალთ უყურებენ ცესკოს არაპარტიული პროფესიონალებით<sup>6</sup> დაკომპლექტების არსებულ მეთოდს და მიიჩნევენ, რომ მათი ინტერესები უკეთ იქნებოდა დაცული, თუ ცესკოს შემადგენლობაში პარტიები პროპორციულად იქნებოდნენ წარმოდგენილი. ოპოზიციური პარტიების რწმენით, ცესკო მხოლოდ ფორმალურად არის არაპარტიული, სინამდვილეში კი მისი წევრები მმართველი პარტიისა და ხელისუფლების მიმართ ლოიალობას ინარჩუნებენ. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკოს ექვს წევრს ასახელებს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი. ოპოზიციას ეს ფაქტი განსაკუთრებით პრობლემატურად მიაჩნია, რადგან პრეზიდენტი მმართველი პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეა, ამ პარტიას კი პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს. ასეთ პირობებში კომისიის შემადგენლობას, ფაქტობრივად, ერთი პარტია წყვეტს. ოპოზიციის განცხადებით, სისტემა ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ იხრება და მისი დაბალანსება მხოლოდ ცესკოს შემადგენლობაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების შეყვანით არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში განხილვის საგანი იქნებოდა, თუ რომელი პარტია უნდა იყოს წარმოდგენილი ცესკოში და რა პროპორციით. თუმცა, ამჟამად ამ საკითხის დეტალები არ განიხილება. მმართველი პარტია არსებულ მოდელს იცავს და შედარებისთვის შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს<sup>7</sup> პარტიული ცესკოს საქმიანობის მაგალითი მოჰყავს. გავრცელებული აზრის თანახმად, სამართლიანი შედეგის უზრუნველყოფისა და ერთმანეთის კონტროლის ნაცვლად, პარტიის წარმომადგენლები ერთმანეთთან გარიგებებს დებდნენ და საკუთარი ინტერესების დასაცავად არჩევნების შედეგებით მანიპულირებდნენ.

ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას უფრო მეტად ცესკოს წევრობის კანდიდატების შერჩევნის ტექნიკური პროცედურები აშფოთებს. საქართველოს საარჩევნო კოდექსის (მუხლი 27) მიხედვით, ცესკოს წევრობის კანდიდატების შერჩევა საწყის ეტაპზე კონკურსის წესით ხდება. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი, მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, ფლობს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატს<sup>8</sup>, აქვს მინიმუმ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება და არის უპარტიო. როგორც უკვე აღინიშნა, პრეზიდენტი მის მიერ დასახელებულ კანდიდატებს, (თითოეულ ვაკანსიაზე მინიმუმ ორ კანდიდატს) წარუდგენს პარლამენტს, რის შემდეგაც პარლამენტი თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე უყრის კენჭს. ცესკოს წევრების თანამდებობებზე ინიშნებიან ის კანდიდატები, რომლებსაც პარლამენტის წევრთა უმრავლესობა დაუჭერს მხარს (მუხლი 28). იმ შემთხვევაში, თუ ხმათა აუცილებელ რაოდენობას ექვს კანდიდატზე მეტი მოიპოვებს, გამარჯვებულად ჩაითვლებიან ექვსი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები. თუმცა, არჩევნებზე დამკვირვებელი ადგილობრივი ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ აცხადებს, რომ კანონი მრავალ საპროცედურო საკითხს გაურკვეველს ტოვებს. ცესკოს წევრობის კანდიდატების შერჩევის პროცესი, მათ შორის შესარჩევი კომისიის შემადგენლობა და საქმიანობა, მთლიანად პრეზიდენტის ნება-სურვილზეა დამოკიდებული და, შესაბამისად, არაგამჭვირვალედ მიიჩნევა. კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. შერჩევის პროცედურა არც 2005 წელს კანდიდატების შერჩევის დროს გამხდარა ცნობილი.

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი სხვა მნიშვნელოვან პრობლემას აღნიშნავს. მისი განცხადებით, ცესკოს წევრების დანიშვნის მეთოდის შეცვლა გამოსავალი არ არის. ამჟამად ორივე მეთოდი უზრუნველყოფს „პატრონებისადმი“, ანუ პარტიების ან ხელისუფლების მიმართ,

<sup>6</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მოქმედი კანონი არ შეიცავს ვალდებულებას, რომ ცესკოს წევრები ან კანდიდატები კონკრეტულად საარჩევნო პროფესიონალები უნდა იყვნენ, მიიჩნევა, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განათლების შესახებ ფორმალური კრიტერიუმის გარდა, დასახელებული კანდიდატები საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციით უნდა სარგებლობდნენ..

<sup>7</sup> ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ყველა არჩევნები მანიპულირებული იყო. ცესკოს მიერ გამოქვეყნებული 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებისადმი საზოგადოებრივმა უნდობლობამ სახალხო პროტესტი გამოიწვია, რაც საბოლოოდ „ვარდების რევოლუციით“ დამთავრდა.

<sup>8</sup> ამ მუხლით გათვალისწინებული ეს კონკრეტული ვალდებულება არ ეხება 2005 წელს არჩეულ კომისიას. ის მხოლოდ მომავალი ცესკოს დაკომპლექტებისას ამოქმედდება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცესკო ჭეშმარიტად პროფესიული.





ლოიალობას. ეს კი ეწინააღმდეგება ცესკოს ფუნქციონირების მთავარ პრინციპს, რომ ის არის ნეიტრალური არბიტრი, რომელიც ყოველგვარი კერძო ინტერესების ზეგავლენისგან არის დაცული. უსუფაშვილის რწმენით, ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ცესკოს საქმიანობის განმსაზღვრელი მთავარი პრინციპი დამოუკიდებლობა და კანონის დაცვა იქნება, რაც კვლავ მომწიფებულ პოლიტიკურ კულტურასთან ასოცირდება.

ოპოზიციის სისუსტის გამომწვევი მიზეზების შესახებ კომენტარებისას ოპოზიცია და მმართველი პარტია განსხვავებულ ახსნას-განმარტებას გვთავაზობენ. საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე რატი სამყურაშვილი მიიჩნევს, რომ ოპოზიციამ ვერ შეძლო საზოგადოებრივი მოთხოვნის სწორად შეფასება ან არასწორ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. უფრო მეტიც - მისი განცხადებით, სუსტი ოპოზიცია მმართველი პარტიის სიძლიერის შედეგია. ბატონმა სამყურაშვილმა აქ ზიარჭურჭლის<sup>9</sup> პრინციპი ახსენა: მისი აზრით, ერთი პარტიისთვის ასეთი დიდი მხარდაჭერის პირობებში, ბუნებრივია, რომ სხვა პარტიებს პოლიტიკურ სცენაზე მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრება უჭირთ.

უფრო პრაგმატულ საკითხზე რომ გადავიდეთ, ასევე ფართო განხილვის საგანია პარტიების დაფინანსების საკითხი. პარტიების დაფინანსების თემა საზოგადოებისთვის განსაკუთრებით აქტუალური 2006 წლის შემოდგომაზე გახდა, როცა ეროვნული ტელევიზიის ეთერში გავიდა ვიდეო ჩანაწერი, რომელშიც პარლამენტის წევრი კობა დავითაშვილი დიდი რაოდენობით თანხას, სავარაუდოდ, პარტიულ სიაში ადგილის შეთავაზების სანაცვლოდ იღებდა. ჩანაწერი ადგილობრივ არჩევნებადღე ცოტა ხნით ადრე გახდა საჯარო. ეს ინციდენტი აღმოჩნდა „მოწოდება მოქმედებისათვის“ და მმართველმა უმრავლესობამ მალევე წარმოადგინა არსებულ კანონში ცვლილებების პროექტი. პარტიული შემოწირულობების მარეგულირებელი კანონპროექტი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა რატი სამყურაშვილმა წამოადგინა. ოპოზიციამ კანონპროექტი ცხარედ გააკრიტიკა და ამტკიცებდა, რომ კანონის მიღების შემთხვევაში ოპოზიციურ პარტიებს ყველა ფინანსური წყარო წაერთმეოდათ. შედეგად, წარმოდგენილ პროექტზე საპარლამენტო დებატები შეჩერდა და ალტერნატიულ მოდელზე შესათანხმებლად ყველა პარტია დიალოგისთვის მიიწვიეს. განხილვები სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ეგიდით 2007 წლის 26-27 თებერვალს გაიმართა. შედეგად მიღებულ „სტრასბურგის მემორანდუმს“ ყველა ძირითადმა პარტიამ<sup>10</sup> მოაწერა ხელი. აღნიშნული დოკუმენტი ახლა უნდა გახდეს იმ კანონპროექტის ახალი ვერსიის საფუძველი, რომელიც პარტიების დაფინანსების საკითხს საბოლოოდ მოაწესრიგებს.

## პარტიების დაფინანსების სამართლებრივი რეგულირება

დაფინანსება პოლიტიკური პარტიების საქმიანობის აუცილებელი წინაპირობაა. არსებობს დაფინანსების სხვადასხვა წყარო, თუმცა ეს წყაროები სამ ზოგად კატეგორიად იყოფა: ა) საწევრო შენატანები, ბ) შემოწირულობები, გ) სახელმწიფო/საბიუჯეტო დაფინანსება. პირველი ორი წყაროს სამართლებრივი რეგულირება მთელს მსოფლიოში მეტნაკლებად გავრცელებულია. უფრო მნიშვნელოვანი განსხვავებები გვხვდება მესამე წყაროს რეგულირების კუთხით. სხვადასხვა სახელმწიფოში პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსების სხვადასხვა მეთოდი არსებობს: ზოგიერთი ქვეყანა რეგულარული სუბსიდიებით/დოტაციებით უზრუნველყოფს პარტიებს, რომლებიც გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებენ. ეს პირობები, როგორც წესი, არჩევნებში მოპოვებულ წარმატებას უკავშირდება. სხვა სისტემები თანხების გამოყოფას მხოლოდ საარჩევნო მიზნებისთვის ითვალისწინებს, მესამე მოდელის მიხედვით კი არჩევნებთან დაკავშირებული სარეკლამო კამპანიის ხარჯებს სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები იყოფენ. მოდელები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაგრამ სახელმწიფოს მიერ პარტიების ფინანსური მხარდაჭერა უკვე მიღებულ ნორმად არის დამკვიდრებული. ხარჯებში სახელმწიფოს თანამონაწილეობა, როგორც წესი, საარჩევნო კამპანიის უკიდურესად სწრაფად მზარდი ხარჯების დაბალანსების საშუალებად აღიქმება. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი კეთილისმყოფელი ჩარევა სიმდიდრეზე დაფუძნებული გავლენის

<sup>9</sup> ზიარჭურჭელი არის მოწოდებლობა, რომელიც ვერტიკალური მიღებისგან/კოლბებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთს ძირზე უკავშირდება. მასში ჩასხმული სითხე ერთ რომელიმე მილში თავმოყრის ნაცვლად ყველა მილში თანაბრად ნაწილდება.

<sup>10</sup> ერთადერთი გამონაკლისი ლეიბორისტული პარტია იყო. პარტიის პოლიტიკური მდივნის, გიორგი გუგავას განცხადებით, მას ვიზის გაცემაზე უარი თქმით განზრახ არ მისცეს განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება.



შემცირებასა და შედარებით ღარიბი/პატარა ერთეულების დაცვას ემსახურება და, ამგვარად, მრავალფეროვანი და ძლიერი სისტემის შექმნას უჭერს მხარს. ამიტომ, სახელმწიფო დაფინანსება განსაკუთრებით მიმზიდველ მეთოდს წარმოადგენს ახალი დემოკრატიის ქვეყნებში,<sup>11</sup> მათ შორის საქართველოში.<sup>12</sup>

საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, რომელიც 1997 წელსაა მიღებული, შეიცავს პოლიტიკური პარტიების საქმიანობის განმსაზღვრელ დებულებებს. ამჟამინდელი ტექსტის თანახმად, პარტიებს უფლება აქვთ მიიღონ საწევრო შენატანები (თითოეული წევრის მიერ მაქსიმალური შენატანი განსაზღვრული არ არის), შემოწირულობები (ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან) და, კანონით დადგენილ შემთხვევებში, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა (მუხლი 25). პარტიებს უფლება არ აქვთ მიიღონ რაიმე სახის შემოწირულობები სხვა ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირების, რელიგიური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების (არასამეწარმეო ორგანიზაციების), სახელმწიფო ორგანოს ან საწარმოსგან, რომელშიც სახელმწიფო წილი 10%-ზე მეტია, მოქალაქეობის არმქონე პირებისგან<sup>13</sup> (მუხლი 26). ამჟამინდელი კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს 2009 წლიდან ანონიმურ შემოწირულობებზე აკრძალვის შემოღებასაც. პარტიები ვალდებული იქნებიან ასეთი სახის შემოწირულობები სახელმწიფოს გადასცენ. 2009 წლამდე პარტიებს ანონიმური შემოწირულობების მიღების უფლება აქვთ, თუ მათი ოდენობა არ აღემატება წელიწადში 30 000 ლარს<sup>14</sup> (მუხლი 39, პუნქტი 7). ამ ზღვრის ზემოთ შემოწირული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადაირიცხოს. გარდა ამისა, წლიური შემოწირულობები ფიზიკური პირისაგან არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს და იურიდიული პირისაგან 100 000 ლარს (მუხლი 27). თუ პარტია კანონით განსაზღვრული ოდენობის დარღვევით მიღებულ შემოწირულობას არ გადააგზავნის სახელმწიფო ხაზინაში, ის კარგავს სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლებას ერთიდან ოთხ წლამდე, ბიუჯეტში გადაურიცხი თანხის ოდენობის მიხედვით (მუხლი 28).

სახელმწიფო დაფინანსების საკითხები კანონში თავიდანვე იყო გათვალისწინებული. მუხლი 30 ადგენდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი განსაზღვრავდა შესაბამის თანხას რომელიც პროპორციულად ნაწილდებოდა საარჩევნო ერთეულებს შორის (პარტიულ ბლოკებსა და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებს შორის), რომლებმაც ხმათა 5%-ზე მეტი მოიპოვეს. ეს მუხლი ძალაში 2000 წლის 1 იანვარს უნდა შესულიყო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი გამოსაყოფი თანხების განსაზღვრისთვის მეტისმეტად ბუნდოვანი იყო, მთელი ეს სტრატეგია დავიწყებული იქნა. სამაგიეროდ, 2000 წლის 19 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება პროპორციული წესით არჩეული თითოეული პარლამენტარისათვის თვეში 150 ლარის გამოყოფის შესახებ. 2005 წლის თებერვალში ეს თანხა 200 ლარამდე გაიზარდა. 2006 წლის მარტში დადგენილება ძალადაკარგულად იქნა ცნობილი.

ამჟამად არსებული სისტემა ორგანულ კანონში 2005 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა. ცვლილებებით, 30-ე მუხლი ადგენს, რომ 2006 წლის 1 იანვრიდან იმ პარტიებს, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მოიპოვეს ხმათა მინიმუმ 4%, უფლება აქვთ სახელმწიფოსგან მიიღონ ფინანსური დახმარება. თანხის ოდენობა მიღებულ ხმათა რაოდენობით განისაზღვრება: პარტია, რომელმაც 200 000 ხმაზე ნაკლები მოიპოვა, თითოეულ

<sup>11</sup> პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მოდელისა და პარტიულ სისტემაზე მათი ზეგავლენის შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ვან ბიზენი, ინგრიდ და პეტრ კოპეცკი „სახელმწიფო ფულის გავლენის შესახებ: პარტიების დაფინანსების გადაფასება სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ახალ დემოკრატიებში“, პერსპექტივები ევროპულ პოლიტიკასა და საზოგადოებაზე, 2:3 2001; ასევე როპერი, სტივენ დ. „რუმინეთის საარჩევნო კამპანიის დაფინანსების კანონმდებლობის გავლენა პარტიული სისტემის განვითარებასა და კორუფციაზე“, პარტიების პოლიტიკა, ტომი 8, ნომერი 2, გვ. 175-1921, 2002.

<sup>12</sup> ევროპის საბჭოს, ევროპის კომისიის კომენტარები საქართველოს ორგანულ კანონში “საქართველოს საარჩევნო კოდექსი” ცვლილებებსა და დამატებებს და საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ დოქტორ მარცინ ვალეცკი, პოლიტიკური ფინანსებისა და პოლიტიკური კორუფციის კვლევის კომიტეტი, საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერების ასოციაცია. ფინანსურ დახმარებასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო ასევე გამოყოფს უფასო საეთერო დროს და ბეჭდვით პრესაში არეგულირებს მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიების თანაბრად გაშუქებას. ეს უკანასკნელი ასპექტები ამ ანგარიშში არ იქნება განხილული.

<sup>13</sup> უცხოური შემოწირულობების მისაღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საზოგადოებრივი ლექციების, სემინარების და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზებისთვის არის გამოიზნული.

<sup>14</sup> 1 აშშ დოლარი = 1.70 ლარი



ხმაზე ორ ლარს მიიღებს. დამატებით 200 000-დან 500 000 ხმებზე – ერთ ხმაზე 1,5 ლარს მიიღებს. დამატებით 500 000-ზე მეტი ხმის მქონე პარტია კი - თითოეულ ხმაზე ერთ ლარს. გარდა ამისა, პარტიებს კვლავ აქვთ პროპორციული წესით არჩეულ თითოეულ დეპუტატზე თვეში 200 ლარის მიღების უფლება. 2006 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული თანხები ქვემოთ არის შეჯამებული:

პოლიტიკური პარტია	თანხა ლარებში
ნაციონალური მოძრაობა	1 543 500
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	131 313
ახალი მემარჯვენეები	131 313
საქართველოს ლეიბორისტული პარტია	179 692
პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“	131 618
რესპუბლიკური პარტია	61 740
საქართველოს კონსერვატიული პარტია	61 740

წყარო: „პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში“. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2006 წელს განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში, თბილისი, 2007

კანონმდებლობა პარტიების მიერ მიღებული თანხების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად შესაბამის ზომებს ითვალისწინებს. ჯერ ერთი, პარტიამ ყველა შემოწირულობა უნდა დაარეგისტრიროს ღონისძიების პირადი მონაცემების მითითებით ისე, რომ მათი ვინაობის დადგენა ადვილად იყოს შესაძლებელი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოველწლიურად, 10 თებერვლამდე პარტიებმა პრესაში ოფიციალური დეკლარაცია და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა უნდა გამოაქვეყნონ, შემდეგ კი ასლი იუსტიციის სამინისტროში წარადგინონ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა მომდევნო წელს დაფინანსების მიღების უფლების დაკარგვას იწვევს. თუმცა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებით, ეს ნორმა საყოველთაოდ არ ყოფილა განხორციელებული. როგორც ანგარიში აჩვენებს, დეკლარაცია ყველა პარტიას არ გამოუქვეყნებია, სხვებმა კი ის არასრულყოფილი ფორმით შევსებული და/ან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ წარადგინეს. ტექნიკურად, ასეთ ქმედებას განსაკუთრებით ძვირი სასჯელი უნდა მოჰყოლოდა იმ პარტიებისთვის, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ (ანუ, დაფინანსების შეწყვეტა). თუმცა ანგარიშში აღნიშნულია პარტია „თავისუფლების“ შემთხვევა, რომელმაც დეკლარაციის გვიან წარდგენის მიუხედავად, დაფინანსების მიღება დაუბრკოლებლად განაგრძო.

### ბოლოდროინდელი ინიციატივები

მიუხედავად იმისა, რომ პარტიებსა და არჩევნებთან დაკავშირებულ ქართულ კანონმდებლობას დახვეწა და სისტემატიზაცია ზოგადად მნიშვნელოვნად წაადგებოდა, ეს პროცესი ბოლო დროს საკმაოდ სპონტანურად განახლდა. საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის შესახებ განხილვები ჯერ კიდევ 2003 წლიდან მიმდინარეობს. თუმცა, ისიც მართალია, რომ ფართომასშტაბიანი რეფორმები, როგორც წესი, ფართომასშტაბიანი სკანდალების შემდეგ ხორციელდება. ეს განსაკუთრებით ანტი-კორუფციული ინიციატივებისთვის არის ნიშანდობლივი. როგორც ზემოთ აღინიშნა, პარლამენტის წევრის კობა დავითაშვილის ირგვლივ ატეხილი სკანდალი მმართველი პარტიისთვის პარტიების დაფინანსების რეგულირების გაუმჯობესებისათვის კიდევ ერთი ბიძგი აღმოჩნდა. 2006 წლის 20 ოქტომბერს პარლამენტის წევრის რატი სამყურაშვილის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ყველა სახის ნაღდი ფულის შემოწირულობის აკრძალვას და ყველა ოპერაციის საბანკო სისტემის საშუალებით განხორციელებას ითვალისწინებდა. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებდა პარტიული საწევრო შენატანებისათვის ზედა ზღვრის – თვეში 50 ლარის დაწესებას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პარტიების შემოწირულობების რეგულირებისათვის დამატებითი პირობების დაწესებას. შემოწირულობების ზღვრული თანხა - 30 000 ლარი ფიზიკური პირებისთვის და 100 000 ლარი იურიდიული პირებისთვის – შენარჩუნდა, თუმცა ახალი ინიციატივით ფიზიკურ პირებს უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მიღებული შემოსავლის რაოდენობაზე მეტი თანხის შემოწირვა აკრძალა. 3





გარდა ამისა, ფიზიკურ პირებს, რომლებსაც თვეში 50 ლარზე მეტის შეტანის სურვილი ექნებოდათ, საგადასახადო დეპარტამენტში<sup>15</sup> საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენა დასჭირდებოდათ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა საყოველთაო საგადასახადო დეკლარაციას არ მოითხოვს, ეს ახალი მუხლი საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის შესახებ ოპოზიციის მიერ აღქმული იქნა, როგორც მათ დონორებზე ზეწოლის მცდელობა. ოპოზიცია აცხადებდა, რომ ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ ვალდებულებები მეტისმეტად მკაცრი და საფუძველსმოკლებული იყო და ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ოპოზიციური ჯგუფებისთვის თანხების გაცემისათვის ხელის შეშლას ისახავდა მიზნად.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებდა პარტიების ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ზომების ცვლილებასაც. კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფოს შეეძლო ერთი წლის მანძილზე არ გაეცა დაფინანსება იმ პარტიაზე, რომლის დეკლარაციაც არაზუსტად ან არასრულყოფილად შევსებულად ჩაითვლებოდა. მეორე მეტად საკამათო ინიციატივას წარმოადგენდა პოლიტიკური პარტიებისთვის არჩევნებში მონაწილეობის სამი წლით აკრძალვა, თუ მათი საქმიანობა „მნიშვნელოვნად“ ფინანსდებოდა ორგანული კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევით. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დამოუკიდებელი ექსპერტი ზურაბ ეზუგბაია შენიშნავს, რომ აუცილებელი იქნებოდა აღნიშნული მუხლების უკეთ განმარტება და პარტიული დეკლარაციის ზუსტი ფორმისა და მისი შევსების ინსტრუქციების გასაგებად ჩამოყალიბება. გარდა ამისა, ასევე საჭირო იქნებოდა „მნიშვნელოვნად დაფინანსების“ და იმ დროის მონაკვეთის განსაზღვრა, რომელშიც ეს წესი იქნებოდა გამოყენებული.<sup>16</sup>

ოპოზიციის ხმაურიანი პროტესტის შედეგად წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვა შეჩერდა. მხარეები შეთანხმდნენ რომ გარკვეული დრო დაეთმოთ საკითხის უკეთ მომზადებისა და პარტიათშორისი დიალოგისათვის. დებატები გაიმართა სტრასბურგში, სადაც დაზურული განხილვები კვლავ ევროპის საბჭომ მოაწყო, და ერთიანი მემორანდუმის მიღებით დასრულდა. სტრასბურგის მემორანდუმის ხელისმომწერი პარტიები ანონიმური შემოწირულობების<sup>17</sup> აკრძალვასა და არაფულად შემოწირულობებზე მაქსიმალური ზღვრის დაწესებაზე შეთანხმდნენ. მემორანდუმის თანახმად, ყველა სახის შემოწირულობა უნდა იყოს საჯარო და შესაძლებელი უნდა იყოს დონორის ვინაობის იოლად დადგენა. ერთდეროთ გამონაკლისს წარმოადგენს საზოგადოებრივი ღონისძიებების (სახალხო შეკრებების, კონცერტების, თანხის მოზიდვის მიზნით ორგანიზებული სხვა ღონისძიებების) დროს შეგროვილი თანხა თუ ის წელიწადში 30 000 ლარს არ აღემატება. შემოწირულობა, გარდა ფიზიკური პირის მიერ 300 ლარამდე განხორციელებული წლური შენატანებისა, უნაღლო ანგარიშსწორებით უნდა განხორციელდეს.

მემორანდუმი მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ახალ წესებს ადგენს. ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც პარლამენტის წევრობის კანდიდატებად არიან დარეგისტრირებული, რეგისტრაციიდან შეიძინა დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ ფინანსური და ქონებრივი დეკლარაცია (საჯარო მოსამსახურეთა დეკლარაციის გამარტივებული ვერსია), რომელიც საჯარო იქნება (ამის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი). გარდა ამისა, სავალდებულოა პარტიის ფინანსების დამოუკიდებელი აუდიტი, რომელიც შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ უნდა გადაიხედოს. აუდიტის ჩატარების შესახებ მუხლი ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაში კანონმდებლობაში უკვე არსებობს, მაგრამ ფინანსების კონტროლისა და ზედამხედველობის წესი საკმაოდ გაურკვეველად იყო მოცემული. კანონით განისაზღვრა იუსტიციის სამინისტროსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის როლები, თუმცა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილი მასალები ამ ორ ორგანოს შორის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის არარსებობაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონით აუდიტის დასკვნა სამინისტროში უნდა წარდგეს, ცესკო კი პარტიებისთვის თანხის გადარიცხვაზე პასუხისმგებელი,

<sup>15</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტში, რომელიც ბატონმა სამყურაშვილმა საკანონმდებლო პაკეტის შემადგენელ ნაწილად წარმოადგინა, აღნიშნული იყო, რომ ფიზიკურ პირს დეკლარაცია შემოწირულობის გადარიცხვიდან ათ დღეში უნდა წარედგინა.

<sup>16</sup> სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ექსპერტის ზურაბ ეზუგბაიას აზრი საკანონმდებლო პაკეტის შესახებ. დოკუმენტი (ქართულ ენაზე) ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.

<sup>17</sup> ანონიმური შემოწირულობების აკრძალვის შესახებ ჩანაწერი არ იყო ასახული ბატონი სამყურაშვილის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში ჯდა „შესაბამისად, ასეთი შემოწირულობების შესახებ არსებული მუხლი ძალაში დარჩებოდა 2009 წლამდე.“



ამ უკანასკნელს არავითარი მექანიზმი არ გააჩნია იმის დასადგენად, მართლაც შეასრულეს თუ არა პარტიებმა კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები.

შეთანხმება სახელმწიფო დაფინანსების ახალ წესებს ადგენს. ამჟამად მოქმედი კანონის მსგავსად, უცვლელი რჩება ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება აქვს იმ პარტიებს, რომლებმაც გადალახეს 4%-იანი საარჩევნო ბარიერი. თუმცა შეთანხმება ასევე ითვალისწინებს 3%-იანი ბარიერის შემოღებას ადგილობრივ არჩევნებში და იძლევა თითოეული პარტიისათვის სახელმწიფო დაფინანსების რაოდენობის გამოსათვლელ ზუსტ ფორმულას. საბოლოო ჯამური თანხა შედგება საბაზისო დაფინანსების, პარლამენტში მიღებული ადგილების რაოდენობის მიხედვით გამოთვლილი თანხისა და არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით დადგენილი თანხებისაგან. დოკუმენტი საბაზისო დაფინანსების მოცულობად 150 000 ლარს ასახელებს, რისი გაზრდაც საბიუჯეტო კანონით არის შესაძლებელი. პარტიებს, რომლებსაც სახელმწიფო დაფინანსება ეკუთვნით, თანხა წერილობითი თანხმობის შემდეგ გადაეცემათ და ისინი სრულიად თავისუფალნი არიან მის გამოყენებაში, მათ შორის, საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვისაც.

მემორანდუმი, რომელსაც 2007 წლის 27 თებერვალს ხელი მოაწერეს „ნაციონალური მოძრაობის“, „ძრწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „ახალი მემარჯვენების“, რესპუბლიკური პარტიისა და კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლებმა, არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების ახალი ვერსიის მომზადების საფუძველს წარმოადგენს. ახალი კანონპროექტი უკვე შემუშავებულია და პარლამენტშია შეტანილი განხილვისათვის.

კანონპროექტი, არსებულ კანონმდებლობასთან შედარებით, აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია. პირველი, რომ პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსების სისტემატიზირებული და ყოვლისმომცველი სქემის შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად, რაც სახელმწიფომ შეიძლება გადადგას ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკური დისკურსის და სტაბილური პოლიტიკური სისტემის მხარდასაჭერად. ასევე, მისასალმებელია პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების დაანგარიშებისთვის სამი განსხვავებული ელემენტის – საბაზისო სუბსიდიის, ხმებისა და საპარლამენტო ადგილების მიხედვით, შემოღებაც. გაზრდილი სახელმწიფო დახმარება და როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო თანხების გამოქვეყნებისა და გამჭვირვალობის შესახებ გამკაცრებული და გაუმჯობესებული წესები დაეხმარება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და ხელს შეუწყობს პოლიტიკური კულტურის და პარტიების პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას.

## დარჩენილი პრობლემები

მიუხედავად ყველაფრისა, სტრასბურგში მიღწეული შეთანხმება სრულად ამომწურავი მაინც არ აღმოჩნდა და ოპოზიციისათვის კვლავ არსებობს პრობლემური საკითხები. პარტიების დაფინანსების შესახებ ცოტა ხნის წინ გამართულ კონფერენციაზე<sup>18</sup> პარლამენტის წევრმა, კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა ზვიად ძიძიგურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო დაფინანსების მინიმუმალური თანხის განსაზღვრა მხოლოდ მმართველი პარტიის გადასაწყვეტი არ უნდა დარჩეს. უფრო მეტი უსაფრთხოებისა და მოქნილობის უზრუნველსაყოფად ძიძიგური და მისი კოლეგა, პარლამენტის წევრი, ახალი მემარჯვენების წარმომადგენელი ირაკლი იაშვილი აღნიშნული თანხის რომელიმე ინდიკატორთან დაკავშირების (მიბმის) წინადადებით გამოვიდნენ. ასეთი ინდიკატორი შესაძლოა იყოს წილი ბიუჯეტიდან, მთლიანი შიდა პროდუქტიდან და ა.შ.

<sup>18</sup> საქართველოს კანონმდებლობა შეზღუდვას არც საარჩევნო კამპანიის თანხაზე აწესებს.

<sup>19</sup> კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR), ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (IMD), და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD). კონფერენცია 2007 წლის 27 მარტს თბილისში ჩატარდა. შემდგომი კომენტარები ამოღებულია კონფერენციის აუდიო ჩანაწერიდან, რომელიც IMD-მა მოგვაწოდა.





მეორე პრობლემური საკითხი, რომელიც რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა თინა ხიდაშელმა აღნიშნა, ეხება იმ იურიდიული პირების შემოწირულობებს, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებში იღებენ მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ შემოწირულობების მაქსიმალური ოდენობა მკაცრად არის განსაზღვრული, ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ამ კომპანიებისთვის შემოწირულობების გაცემის უფლების მინიჭება კორუფციას უქმნის ნიადაგს და სახელისუფლებო პარტიას უსამართლოდ და უკანონოდ ანიჭებს უპირატესობას. ხიდაშელის წინადადებით, კერძო ინტერსების გავლენისგან თავდაცვის უზრუნველსაყოფად, ასეთი კომპანიების შემოწირულობები როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიებისთვის უნდა აიკრძალოს. ხიდაშელი იხსენებს 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების გამოცდილებას, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი კამპანიის დაფინანსების ოფიციალურ დეკლარაციებში მითითებული იყო, რომ მათი დონორი იურიდიული პირების საკმაოდ დიდი ნაწილს შეადგენდნენ ის კომპანიები, რომლებმაც მოგებულნი ჰქონდათ ქალაქ თბილისის მთავრობის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გამოცხადებული ტენდერები.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, თუ როდის შევა ძალაში ახალი ცვლილებები და როდის უნდა დაიწყონ პარტიებმა დაფინანსების მიღება ახალი სქემის მიხედვით. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ მმართველმა პარტიამ და თავად პრეზიდენტმა დაარღვეეს პირობა, რომლის მიხედვითაც თანხები ცვლილებების მიღებისთანავე, დაახლოებით 2007 წლის ზაფხულისთვის უნდა გაცემულიყო. თუმცა მმართველი პარტიის გავლენიანმა დეპუტატმა, გიგა ბოკერიამ საპარლამენტო მოსმენისას განაცხადა, რომ ახალი სქემა ძალაში 2008 წლის 1 იანვარიდან შევა. ხიდაშელი ეჭვობს, რომ კანონის ამოქმედების 2008 წლამდე გადადება, მაშინ როცა ორივე - საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება ამავე წელს იგეგმება, „ნაციონალური მოძრაობას“ ახალი კანონმდებლობის სარეკლამო საშუალებად გამოყენების შესაძლებლობას მისცემს და ამ ნაბიჯს ოპოზიციის მიმართ გულუხვობის გამოხატვად წარმოაჩინს<sup>20</sup>.

ჯერ კიდევ არსებული პრობლემური საკითხებისა და უთანხმოებების მიუხედავად, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან საკითხთაგანი აღმოჩნდა, რომელზეც ოპოზიცია და მმართველი პარტია ერთმანეთთან კონსტრუქციულ დიალოგში ჩაერთვნენ და შეთანხმებასაც მიაღწიეს. ეს პრეცედენტი ნამდვილად მისასალმებელია და მომავალში მისაბამ მაგალითად შეიძლება იქცეს.

*„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ ანგარიშის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდის: ქალბატონ ლალი ჩხეტიას და ქალბატონ ნინო ვობრონიძეს (საქართველოს ახალგზრდა იურისტთა ასოციაცია), ბატონ ელჩ ივორ გაონს და ქალბატონ თამარ ჩერვოლიეიშვილს (ევროპის საბჭო), ქალბატონ თამუნა ჟვანიას (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება), ქალბატონ ნინო კობახიძეს (ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი -NNIMD), ბატონ დავით უსუფაშვილს (რესპუბლიკური პარტია), ბატონ ირაკლი იაშვილს („ახალი მეზარგვენები“), ბატონ რატი სამყურაშვილს (ნაციონალური მოძრაობა) და ბატონ ვიორგი გუგავას (ლეიბორისტული პარტია).*

<sup>20</sup> ეს კომენტარები გაკეთდა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „ღია ეთერში“ 2007 წლის 3 მაისს.